მედიაგანათლების ტექნოლოგიები, როგორც სწავლების ინსტრუმენტი
(პრობლემები და მათი გადაჭრის გზები)

ლიანა ჩარკვიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

likacharkviani@gmail.com

ანოტაცია: სტატიაში განხილულია მედიაგანათლების მნიშვნელობა და სასწავლო პროცესში მედიაგანათლების ტექნოლოგიების გამოყენება მედიაწიგნიერების კომპეტენციის მისაღწევად. მოცეუმლია პრობლემები, რომელიც ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნება განათლების სისტემაში და განხილულია ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

საკვანძო სიტყვები - მედიაწიგნიერება, მედიაგანათლება, მედიაგანათლების ტექნოლოგიები, მასწავლებელი, მოსწავლე.

I. შესავალი

მედიაწიგნიერება ხდება თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ელემენტი, გლობალური საზოგადოების განუყოფელი ნაწილი. ამრიგად, მედიაწიგნიერება განიხილება როგორც ყველა მოქალაქის უფლება და მოვალეობა. აქტიური, ჯანსაღი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, რომელშიც კულტურული კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშვიდობის განმტკიცებისკენ მიმართული ახალი კულტურის ფარგლებში, დიდწილად დამოკიდებულია მედიაწიგნიერების დონეზე.
ამრიგად, თანამედროვე სოციოკულტურულ ვითარებაში, იქ სადაც არის ინფორმაციის აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისუფლება (ე.ი. თავისუფალი მედიის სამყაროში) სულ უფრო მოთხოვნადი და აუცილებელი ხდება მედიაგანათლება, რომელიც წარმოიქმნება როგორც პედაგოგიური აუცილებლობა.
ამავე დროსმედიაგანათლებამ მოიტანა პედაგოგიური პარადიგმის ცვლილება - მასწავლებელს და მოსწავლეს აქვთ თანაბარი უფლებები მიღებულ ინფორმაციაზე, მასწავლებელი არ ასწავლის, ის ეხმარება მოსწალეს სამყაროს აღქმაში, სთავაზობს მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას გაგების სხვადასხვა დონეზე.
მედიაგანათლების წყალობით შესაძლებელია მოსწავლემ გაუსწროს მასწავლებელს თანამედროვე მასმედიის ტექნიკური ასპექტების ცოდნაში. ეს მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სწავლების ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. [1] მასწავლებელიქმნის სასწავლო პროცესს, იყენებს და განსაზღვრავს სისტემატურ მეთოდს, ტექნიკურ და ადამიანურ რესურსების სწორ გამოყენებას, ანუ შესაბამის პედაგოგიურტექნოლოგიებს. ამ ტექნოლოგიებს შორისაა მედიაგანათლების ტექნოლოგიებიც, რომელთაც უკრაინელი მეცნიერის, გ. სელევკოს აზრით, ყველაზე დიდი ინოვაციური პოტენციალი გააჩნია მედიაწიგნიერების კომპეტენციის ჩამოსაყალიბებლად. [2]

II. ძირითადი ნაწილი

საგანმანათლებლო პროცესის დიდაქტიკის თვალსაზრისით, მედიაგანათლების ტექნოლოგიების გამოყენება არის მოქნილი და უნივერსალური პროცესი, რომელიც იძლევა უამრავ შესაძლებლობებს კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარებისა და ინდივიდის მხატვრული და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისათვის.
მედიაგანათლების ტექნოლოგიები, ერთი მხრივ, გამოყენებადია, მეორე მხრივ, ისინი ხელს უწყობს საგნების და ცალკეული სასწავლო

კურსების შესწავლის გაერთიანებას ერთიან სასწავლო პროცესში.

ევროპული გაგებით, მედიაწიგნიერება და მედიაგანათლება, დაკავშირებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კომპეტენციებთან. მაშასადამე, მედიაგანათლების ტექნოლოგიებიც მედიაგანათლების მთავარამოცანას ანხორციელებს - მასობრივი კომუნიკაციების სფეროში სხვადასხვა ინფორმაციასთან მუშაობის კულტურის, კომუნიკაციის ეთიკისა და ესთეტიკის უნარების ჩამოყალიბებას.

ეს კი პირდაპირ კავშირშია გაეროს 2030 წლისათვის განსაზღვრული მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან მე-4 მიზანთან – ხარისხიან განათლების მიღებასთან.

ამ მიზნის ამოცანა კომპლექსურია: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების შექმნა ყველასათვის მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მედიაგანათლების ტექნოლოგიები სკოლაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრადიციულ საგანმანათლებლო საშუალებებთან ერთად სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსებში ინტეგრაციის გზითმათი განვითარება შეიძლება შემდეგი მიმართულებით წავიდეს:

ა)მედიაგანათლების და ამ საგნის ინტეგრირების მიზნით მედიატექსტების ვიზუალურ გამოყენებაზე დაფუძნებული კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება ცალკეული საგნების სწავლებისას (ინტეგრირებული მედიაგანათლება); ბ) თანამედროვე მედიის პრაქტიკის შესწავლა - სასკოლო ბეჭდურ პუბლიკაციებზე მუშაობა, სასკოლო კინოსა და სატელევიზიო სტუდიებში ვიდეო გადაღებისა და მონტაჟის საფუძვლების შესწავლა (რაც ხელს უწყობს როგორც საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას მედია ინფორმაციასთან მიმართებაში მხატვრული რეალიზაციის გზით, ინდივიდის შემოქმედებითი პოტენციალისა და მომავალი საზოგადოების მოქალაქისთვის აუცილებელი მედიაწიგნიერების ჩამოყალიბებას).[3] სწორედ ამ სფეროების ერთობლიობა არის კომპლექსური მედიაგანათლება, ანუ მედია განათლების ტექნოლოგიების შესაძლებლობების მთელი სპექტრის გამოყენება მთლიანად განათლების პროცესის გასააქტიურებლად მედიაწიგნიერების მიღწევის გზაზე.

როგორც ვიცით, განვითარების საწინდარი იმ პრობლემების იდენტიფიცირებაა, რომლებიც ამ პროცესს ხშირად თან სდევს.

მეცნიერთა და პედაგოგთა საერთაშორისო საზოგადოების მიერ გაანალიზებულმა სხვადასხვა ქვეყნის მასწავლებელთა ინოვაციურმა გამოცდილებამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში შესაძლებელი გახადა მედიაგანათლების მოდელებისა და ტექნოლოგიების შემუშავებისას იმ საერთო პრობლემების იდენტიფიცირება, რომელთა წინაშეც დგას მედიაგანათლების განვითარება 21-ე საუკუნეში.

ასე მაგალითად, რუსმა მეცნიერმა ელენე ხუდოლეევამ შეიმუშავა ტიპიური პრობლემების საკმაოდ დეტალური კლასიფიკაცია (სოციალურ-პოლიტიკური, მენეჯერული, ორგანიზაციული, დიდაქტიკური, კორპორატიული, პროფესიული, სოციალური, პიროვნული), რომელსაც აწყდება მედიაგანათლების განვითარება და შესაბამისად მედიაგანათლების ტექნოლოგიებსაც უკავშირდება:

- პიროვნული (შინაგანი ფსიქოლოგიური პრობლემები, ახალი აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების შიში; ძალისხმევის და დამატებითი ენერგიის დახარჯვის სურვილისუქონლობა პროფესიულ საქმიანობაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების შესასწავლად);
- სოციალური (საზოგადოების ინფორმაციული განვითარების არასაკმარისად მაღალი დონე; ელექტრონული საინფორმაციო ინსტრუმენტების მიუწვდომლობა მრავალი სოციალური ჯგუფისთვის; განათლების დისტანციურად მიღების ტექნიკური შეუძლებლობა ყველასთვის);
-პროფესიული (მასწავლებელთა დაბალი მედიაკომპეტენტურობა; გამოცდილი მასწავლებლების უხალისობა და უუნარობა, გაიარონ პროფესიული მომზადება მედიაგანათლების სფეროში);
- კორპორატიული (საგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის სუსტი განვითარება; დისტანციური სწავლების ფორმების არასაკმარისი გამოყენება; ახალი ტექნოლოგიების დაუფლების გამოცდილების ნაკლებობა მოწინავე ტრენინგებისა და სემინარების სისტემის მეშვეობით).[4]

გარდა ამისა, მეცნიერები საუბრობენ იმ დიდაქტიკურ და ორგანიზაციულ პრობლემებზე, რომლებსაც მედიაგანათლებასთან დაკავშირებით აწყდება საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ კვალიფიციური მედიამასწავლებლების მწვავე

დეფიციტი და მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოტივაციის ნაკლებობა. ამიტომაცაა, რომ ავსტრიელი მეცნიერი კ. ტაინერი თვლის, რომმედიაგანათლების მყარი საფუძვლის შესაქმნელად, რომელიც ასე აუცილებელია მედიაწიგნიერების დონის გაუმჯობესებისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მასწავლებელთა მომზადება და პროფესიული განვითარება.

აღსანიშნავია სახელმწიფო და სოციალური დონის პრობლემები:

- სოციალურ-პოლიტიკური: „მედიაგანათლების“ კონცეფცია ფართო საზოგადოებისთვის უცნობი რჩება; საზოგადოებრივი აზრი მედიაგანათლების, როგორც ზოგადი განათლების კომპონენტის, აუცილებლობის შესახებ ჯერ არ ჩამოყალიბებულა;
- მენეჯერული: არ არსებობს ოფიციალური სახელმწიფო მოთხოვნა მასმედია განათლების განვითარების, მედიაპედაგოგების გადამზადების შესახებ, ამიტომ უნივერსიტეტები (იშვიათი გამონაკლისის გარდა) არ ამზადებენ მათ; მედია განათლება ჯერ კიდევ არ არის ოფიციალურად ინტეგრირებული სკოლის სასწავლო პროცესში. [5]

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მედიაგანათლების განვითარების სხვა პრობლემებთან ერთად, აღსანიშნავია თეორიული და პრაქტიკული მიდგომების შეუსაბამობადა მედია განათლებისადმი მიდგომების პოლიტიზება.

დასკვნა

ამრიგად, უდავოა, რომ მედიაგანათლების ტექნოლოგიები თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს ლოგიკური ფრაგმენტი გახდა, როგორც თანამედროვე სკოლის ძირითადი გარდაქმნების შესაბამისი ინსტრუმენტი.მათ გარეშე წარმოუდგენელია მედიგანათლების პროცესი მედიაწიგნიერების კომპეტენციის მიღწევის გზაზე.

იმისთვის, რომ ჩატარდეს კომპლექსური ხასიათის ქმედებები აღნიშნული პრობლემების დასაძლევად უნდა შეიქმნას გარკვეული პედაგოგიური პირობები:

1) მედიასაგანმანათლებლო გარემოს შექმნა მედიაგანათლების ტექნოლოგიების მუდმივი გამოყენებით მოსწავლეების სწავლების ყველა ფორმაში;
2) მასწავლებელთა მზადყოფნა, მოაწყონ სასწავლო პროცესი მედიაგანათლების ტექნოლოგიების გამოყენებით;
3) მოსწავლეების სურვილის ხელშეწყობა, გამოიყენონ მედიაგანათლების ტექნოლოგიები სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობებში, ინტერესის გაღვივება საკუთარი პროფესიული მედიაპროდუქტების შექმნის მიმართ;
4) მასწავლებლების უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების ჩამოყალიბების მონიტორინგი - საგანმანათლებლო პროცესში მედიაგანათლების ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ პროფესიული გადამზადების ყველა ეტაპზე.

გარდა ამისა, მედიაწიგნიერების სწავლებისას მედიაგანათლების ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების ჩამოყალიბება, პირველ რიგში, მოითხოვს თეორიული ბაზის შექმნას, რაც პირდაპირაადამოკიდებული შესაბამისი საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის ხელმისაწვდომობაზე, ამიტომ ეს საკითხი ჩვენი მეცნიერებების, მედიაპედაგოგების, მენტორი მასწავლებლების საზრუნავი უნდა გახდეს.

ვფიქრობთ, სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს ქართველი მეცნიერების ინიცირება მედიაგანათლების ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარების, მსოფლიო და ადგილობრივი მასწავლებლების გამოცდილების შესწავლის და საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვის კუთხით.

ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგიური გამოცდილების შესწავლის, სისტემატიზაციისა და გავრცელების მეთოდოლოგია, რომელიც შეიძლება მოვიძიოთ სხვადასხვა მასწავლებლების მასალებში (სტატიებში, ბლოგებსა და ვლოგებში, და სხვა), სოციალური ქსელების ჯგუფებში, პრესაში. აუცილებელია, ასევე, პედაგოგიური დისკუსიები. ეს ყველაფერი წარმოადგენს მედიადიდაქტიკას და არის სკოლის პრობლემების ასახვისა და გადაჭრის წამყვანი საშუალება.

მნიშვნელოვანია, ხორციელდებოდეს პროფესორ-მასწავლებლების სისტემატური გადამზადება სწავლების თანამედროვე, მათ შორის მედიაგანათლების, ტექნოლოგიების დასაუფლებლად.

უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სხვადასხვა სპეციალობების მომავალი მასწავლებლების პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების მოდელი, რომელიც თანმიმდევრულად განხორციელდება განათლების ყველა

საფეხურზე, უნივერსიტეტებში პედაგოგთა განათლების თანამედროვე მიდგომების, ინფორმაციულ საზოგადოებაში მედიაგანათლების ტექნოლოგიების გამოყენების პრინციპების, პროფესიული სოციალიზაციის თავისებურებების, სტუდენტების ასაკისა და პირადი საჭიროებების გათვალისწინებით.

ყურადღება უნდა გამახვილდეს მომავალი მასწავლებლების მიერ მედიაგანათლების ტექნოლოგიების განათლების სისტემაში გამოყენების მზაობაზე. მომავალ მასწავლებელთა მედიაგანათლების კომპეტენციის ფორმირების შესაფასებლად და მონიტორინგის მიზნით უნდა შემუშავდეს კრიტერიუმები და ინდიკატორები.

მასწავლებლებისთვის, განურჩევნად მათი სპეციალობისა, შესამუშავებული და ჩასატარებელია მედიაგანათლების ტექნოლოგიების, როგორც ინოვაციური ინსტრუმენტების გამოყენების, მიზნობრივი ტრენინგი. ასეთი ტრენინგი დაეხმარება მასწავლებლებს მათ პედაგოგიურ პრაქტიკაში არსებული მედიაგანათლების პრობლემების გადაჭრაში.

ინფორმაციული საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების კონტექსტში მედიაგანათლების ტექნოლოგიები თანამედროვე სკოლის მოსწავლეს, ისევე როგორც სასწავლო პროცესის ყველა მონაწილეს, აძლევს ახალ ინსტრუმენტებს თვითპრეზენტაციისა და სოციალიზაციისთვის, ასევე ახალ შესაძლებლობებს სწავლაში, სოციალურ დიზაინში, სოციალურ მეწარმეობაში და მოხალისეობის განვითარებაში - ყველაფერ იმას, რაც დღეს ადამიანს სჭირდება. ამიტომაც უნდა დადგეს დღის წესრიგში მათი განვითარების აუცილებლობა და ამ პროცესის ხელისშემშლელი პრობლემების აღმოფხვრის მაქსიმალური მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა

[1]https://cyberleninka.ru/article/n/tehnologii-mediaobrazovaniya-v-sovremennoy-shkole / О. А. Бондаренкою Технологии медиаобразования в современной школе [Электронный ресурс]

[2] Селевко Г.К. Современные образовательные технологии DOC, Учебное пособие. М.: Народное образование, 1998.

[3]https://cyberleninka.ru/article/n/formirovanie-mediagramotnosti-buduschih-perevodchikov-v-protsesse-professionalnoy-podgotovki-v-vuze/Янишин О.К. Формирование медиаграмотности будущих переводчиков в процессе профессиональной подготовки в вузе[Электронный ресурс]

[4] Худолеева Е.И. Педагогические проблемы медиаобразования в ФРГ и в России на современном этапе (конец XX г начало XXI вв.), автореферат, Владивосток, 2006.

[5]TynerK. New directions for mediaeducationin the UnitedStates. Vienna, 1999.